

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო

საზედამხედველო კომიტეტის ვიზიტი

რუსთავი ახალი ვექტორის ოფისი

24 იანვარი 2019 წ.

ვიზიტის მიზანი: გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე პროგრამის განხორციელების მიმდინარე სტატუსის შესწავლა.

ვიზიტის ამოცანები: პროგრამული ინდიკატორების განხილვა; პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების დასახვა.

მეთოდოლოგია:

- ✓ თანამშრომლებთან გასაუბრება;
- ✓ პროგრამის ბენეფიციარებთან გასაუბრება.

მონაწილეები:

ნიკოლოზ მირზაშვილი - პაციენტთა კავშირი, ქსს-ს წევრი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი

ლამა აბესაძე - ახალი ვექტორი, რუსთავის ცენტრის კოორდინატორი

ვადიმ პანიუხინი - ახალი ვექტორი, სოც. მუშაკი

ლელა პანიუხინი - ახალი ვექტორი, საწყობზე პასუხისმგებელი პირი

ალექსანდრე კარაკოვი - ახალი ვექტორი, სოც. მუშაკი

ირინე გიგოლაშვილი - ახალი ვექტორი, ნკტ კონსულტანტი

ოლღა ბაუერი - ახალი ვექტორი, სოც. მუშაკი

ნონა აფციაური - ახალი ვექტორი, ლაბორანტი

ანდრო ბროლაძე - ახალი ვექტორი, სოც. მუშაკი

პროგრამის ბენეფიციარი

ირინა გრძელიძე - ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე - ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

შეხვედრის მონაწილეებს კიდევ ერთხელ მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია საზედამხედველო ვიზიტის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, ასევე საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული საზედამხედველო კომიტეტის მანდატის, ფუნქციონების და მოვალეობების შესახებ.

აღინიშნა, რომ ცენტრი 2013 წლის სექტემბრიდან ახორციელებს გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებულ შპრიცების გაცლის პროგრამასა და 2018 წლის თებერვლიდან ჩართულია FIND -ის პროექტის კვლევაში.

ცენტრში მუშაობს 20 თანამშრომელი. შტატი შედგება ადმინისტრაციული გუნდის, სოციალური მუშაკების, მობილური ჯგუფისა და სამედიცინო პერსონალისგან. ასევე ცენტრს ემსახურება მობილური ამბულატორია, რომლის საშუალებითაც ხდება უფრო ფართე გეოგრაფიული არეალის დაფარვა, რაც თავის მხრივ ზრდის ბენეფიციართა მოცვას. რუსთავსა და მიმდებარე რეგიონებში ბენეფიციართა მოცვის დაახლოებითი რაოდენობა თვეში 600-700 ადამიანი, რომელთაგანაც ტესტირება უტარდებათ 200-მდე ბენეფიციარს. ახალ გამოკვლეულ ბენეფიციარებს შორის C ჰეპატიტით დაავადებულთა რიცხვმა ბოლო პერიოდში იკლო. თვის განმავლობაში დაახლოებით 30 ბენეფიციარი ერთვება ცენტრის საშუალებით ელიმინაციის პროგრამაში. რაც შეეხება აივ პოზიტიურებს 2018 წლის განმავლობაში 5 პაციენტს დაუდასტურდათ აივი. აღინიშნა ის ფაქტი, რომ ქვემო ქართლის რეგიონში მოსახლეობის დაახლოებით 50% ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობაა, თუმცა ეს არ ქმნის ცენტრის თანამშრომლებსა და ბენეფიციარებს შორის ეფექტური კომუნიკაციის ბარიერს. ტესტირებით ბენეფიციართა მოცვის ინდიკატორი 2018 წელს შეადგენდა 94%, ხოლო ბენეფიციართა მოცვა 147%-ს. თანამშრომელთა მიერ აღინიშნა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში მხოლოდ ერთი სამედიცინო ცენტრია, სადაც ხდება C ჰეპატიტის მკურნალობა, რაც დიდი გამოწვევაა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ცენტრის თანამშრომლებმა კმაყოფილებით აღნიშნეს პაციენტთა კავშირთან პარტნიორობაში რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების მკურნალობაზე დამყოლობის მხარდაჭერის პროექტის წარმატებული განხორციელება და გამოხატეს პროექტის გაგრძელების შემთხვევაში აქტიური ჩართულობის მზაობა.

ხაზგასმით აღინიშნა რუსთავში ჩანაცვლებითი თერაპიის ცენტრის არსებობის აუცილებლობა. უახლოესი ცენტრი მდებარეობს თბილისში, რაც შეფერხებას უქმნის რუსთავში და მიმდებარე რეგიონებში მცხოვრებ ბენეფიციარებს სერვისის მიღების თვალსაზრისით.

ასევე დაფიქსირდა უკმაყოფილება ერთმილილიტრიანი შპრიცების ხარისხთან დაკავშირებით. დაბალი ხარისხის გამო მატულობს გაცემული შპრიცების რაოდენობა, რაც შესაბამისად ზრდის ხარჯს.

თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ ზოგადად არ ხდება წყვეტა სახარჯი მასალების მიწოდების, თუმცა ამ კონკრეტულ ეტაპზე ამოწურულია ნალოქსონის მარაგი. მათ მოლოდინი აქვთ, რომ უახლოეს პერიოდში მოხდება მისი შევსება.

შეხვედრის მონაწილეთა თქმით სახეზეა ეფექტური და დროული კომუნიკაცია ძირითად მიმღებთან და ქვეკონტრაქტორ ორგანიზაციებთან.

ცენტრის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ სასურველია ხელფასის ჩარიცხვა ხდებოდეს მიმდინარე სამუშაო თვის ბოლოს, რადგანაც მიმდინარე პერიოდში მათ ანაზრაურება ერიცხებათ ერთი თვის დაგვიანებით.

ირინა გრძელიძე

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი